# საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1103 2016 წლის 10 ივნისი ქ. თბილისი

## საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის $10^1$ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდმა, პროექტის „CHECK IN GEORGIA“-ს ფარგლებში, ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო 1 873 850 (ერთი მილიონ რვაას სამოცდაცამეტი ათას რვაას ორმოცდაათი) ლარის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლის მე-8

პუნქტის შესაბამისად, ზემოაღნიშნული მომსახურების ნაწილის (ჰონორარები/უცხოელი შემსრულებლები) - 100 000 (ასი ათასი) ლარის შესყიდვასთან დაკავშირებით გასაფორმებელი ხელშეკრულებების მიმართ არ გავრცელდეს ამავე ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი მოთხოვნები.

**პრემიერ-მინისტრი** **გიორგი კვირიკაშვილი**